განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

21/05/2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**201951637**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი** **მენეჯმენტში - 0203**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი მიშელიძე, თავისუფალი უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის პროცესები, საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელ-შეწყობა, კერძო სექტორის გაძლიერება და სწრაფი განვითარება. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამათავრებულებს მისცეს მმართველობითი საქმიანობისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და გამოუმუშავოს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. აღჭურვოს სტუდენტი კომუნიკაციური და კრიტიკული ანალიზის უნარებით, რაც უზრუნველყოფს მომავალში კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის პროფესიული საქმიანობის დროს წარმატებით რეალიზებას. მოამზადოს კურსდამთავრებულები სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობისათვის. ასევე, სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების ან სხვა მომიჯნავე სპეციალობებზე. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს, რაც წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: სავალდებულო კომპონენტები - 176 კრედიტი, არჩევითი კომპონენტები - 44 კრედიტი და თავისუფალი კომპონენტები - 20 კრედიტი. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, მარტივიდან რთულისაკენ, თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი მიზან-შედეგები ითვალისწინებს. სასწავლო დისციპლინების ფორმატი და კრედიტების რაოდენობა არ არის სტანდარტული. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება კონკრეტული დისციპლინის შესწავლას. ამ პრინციპების გათვალისწინებითაა დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დრო. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. ამჟამად, მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 184 აქტიური სტუდენტი, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 2 პროფესორი, 26 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 9 მოწვეული ლექტორი, აქედან 2 არის აფილირებული პროფესორი, 17 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. პროგრამა გადის ახალ აკრედიტაციას, პროგრამა აკრედიტებული იყო 2012 წელს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 21 მაისს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო

კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასაწავლო ელექტრონული პორტალი ფუნციონალური სერვისების მიხედვით. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.2 და 1.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.1, 1,4 და 1.5 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.3, და 2.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.2 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეოთხე და მეხუთე სტანდარტებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა 4.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამა არის მუშა მდგომარეობაში, ყავს სტუდენტები, კონკურეტუნარიანი კურსდამთავრებულები, პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურესებით, მოქმედებს პროგრამის ადმინისტრირების მექანიზმები, პროგრამაზე მიღება ხდება ყოველწლიურად.

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია პროგრამის სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსები: რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში და გახდეს სავალდებულო დისციპლინები, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული იქნეს გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია ,,მაკროეკონომიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი და არა ,,კალკულუსი 1“;
3. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად, განისაზღვროს მე-8 სემესტრისათვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო დისციპლინების ათვისება;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები“ დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნას არა ტესტური შეფასების მეთოდი, არამედ უშუალოდ კვლევითი პროექტი, რომელზეც უნდა იმუშაონ სტუდენტებმა სემესტრის მანძილზე, ხოლო სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის რეფერატის პრეზენტაციის ნაცვლად რეკომენდებულია პროექტის პრეზენტაციის გამოყენება;
5. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა და უმჯობესია ეს განხორციელდეს აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვის ზრდის ხარჯზე;
6. რეკომენდებულია პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსების (მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება) სილაბუსში მითითებული იყოს გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის, სალექციო კურსების გამოცემის წლები, მათი იდენტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსს ,,ანტიკრიზისული კომუნიკაციის მართვა“ მისი შინაარსიდან გამომდინარე ეწოდოს ,,კომუნიკაციის მართვა“;
- სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები;
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას მცირე რაოდენობის მოწვეული პერსონალი გააჩნია, სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას;
- სასურველია უნივერსიტეტმა მეტად შეუწყოს ხელი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში / კონფერენციებში ჩართულობას, რაც გაზრდის მათი საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობას და უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს მათ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას;
- სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის მრავალფეროვანი მექანიზმების აქტიური შეთავაზება;
- სასურველია ცალკეული დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით მესამე და მეოთხე კურზე სპეციალიზაციის საგნებში დამატებით იქნას შეთავაზებული თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას ოპერატიულად გაეცნონ ბიზნესის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს;
- სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათ შორის კვლევითი უნარების გაუმჯობესებისათვის, დაფინანსების გაზრდა. ასევე უცხოური თანამედროვე ლიტერატურის/ქეისების/ვიდეო მასალების თარგმანებისთვის მეტი დაფინანსების გამოყოფა;
- სასურველია დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად გარდა პროგრამული აკრედიტაცია და ავტორიზაციისა გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის წახალისებისათვის არსებობს შიდა საგრანტო სისტემა, დაწესებულია სამეცნიერო პრემია „თამარი“, რომელიც 2017 წელს ჩატარდა პირველად და მისი გამარჯვებული გახდა ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელი, აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2012 წელს, აღნიშნული აკრედიტაციის შედეგად რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, პროგრამაში გადახალისებულია სასწავლო კურსების სილაბუსები, საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო გახდა და განახლებულია სასწავლო ლიტერატურა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა შექმნას თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემო ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას, ხოლო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამათავრებულებს მისცეს მმართველობითი საქმიანობისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და გამოუმუშავოს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. აღჭურვოს სტუდენტი კომუნიკაციური და კრიტიკული ანალიზის უნარებით, რაც უზრუნველყოფს მომავალში კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის პროფესიული საქმიანობის დროს წარმატებით რეალიზებას. მოამზადოს კურსდამთავრებულები სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობისათვის. ასევე, სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების ან სხვა მომიჯნავე სპეციალობებზე. პროგრამის კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები, როგორც პროფილის მიხედვით ისე მომიჯნავე სფეროებში და მათი გარკვეული ნაწილი სწავლას აგრძელებს მაგისტრატურის საფეხურზე სპეციალობის მიმართულებით. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მისია; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/menu/mission - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების, კერძოდ კი, მენეჯმენტის კონკრეტულ სპეციალობაზე, ბაკალავრის საქ-მიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციების გამომუშავება და დასაქ-მების ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება ხდება საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სპეციალობის (მენეჯმენტის) და თავისუფალი კომპონენტების კომბინირების გზით. მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენ-ციების ჩამოყალიბება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნისა და უნარების სინთეზის საფუძველზე ხდება. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები:

- სასწავლო კურსის სახელწოდება ,,ანტიკრიზისული კომუნიკაციის მართვა“ სილაბუსში გაწერილი შინაარსის მიხედვით უმჯობესია ჩამოყალიბდეს, როგორც ,,კომუნიკაციის მართვა“.
- ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას არ აქვს გამოშვების წლები მითითებული, მაგალითად: მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი“, დამტკიცებულია კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანებით;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსების (მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება) სილაბუსში მითითებული იყოს გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის, სალექციო კურსების გამოცემის წლები, მათი იდენტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსს ,,ანტიკრიზისული კომუნიკაციის მართვა" მისი შინაარსიდან გამომდინარე ეწოდოს ,,კომუნიკაციის მართვა".

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, მარტივიდან რთულისაკენ, თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი მიზან-შედეგები ითვალისწინებს. სტუდენტი ვალდებულია სრულად აითვისოს საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, აგრეთვე საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის არჩევითისასწავლო კურსები. არჩევითობის პრინციპი უზრუნველყოფილია ასევე თავისუფალი კრედიტების ფარგლებშიც. სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების სახით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მიმდინარე სემესტრში, უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი პროგრამიდან. „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 240 კრედიტისაგან შედგება, რაც წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

- **სავალდებულო კომპონენტები:** 176 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 58 კრედიტი;

- სპეციალობის (მენეჯმენტის) სავალდებულო სასწავლო კურსები – 96 კრედიტი;
  - **არჩევითი კომპონენტები:** 44 კრედიტი, მათ შორის
- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სპეციალობის (მენეჯმენტის) არჩევითი სასწავლო კურსები– 26 კრედიტი;
  - **თავისუფალი კომპონენტები:** 20 კრედიტი.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები მიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისა და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის ჩამოყალიბებისაკენ. ამასთან, პროგრამის კომპონენტების შინაარსის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ: ვინაიდან, პროგრამა კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას მენეჯმენტში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთესად მიღწევის მიზნით პროგრამის სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსები: რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში და გახდეს სავალდებულო დისციპლინები, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული იქნეს გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსი, რაზეც თავად პროგრამის პოტენციურმა დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმაც გაამახვილეს ყურადღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსები: რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში და გახდეს სავალდებულო დისციპლინები, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული იქნეს გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ათვისება ხელს უწყობს კურსდამთავრებულს რეალურ პრაქტიკაში წარმატებით განახორციელოს მმართველობითი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საწარმოო, საფინანსო, მარკეტინგული, საინფორმაციო, კონსალტინგური, ინოვაციური და სხვა სახის ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი საქმიანობა, ასევე იყვნენ კონკურენტუნარიანები განათლების შემდგომ საფეხურზე. პროგრამის კურსდამთვრებულები დასაქმებული არიან ქვედა და საშუალო მენეჯმენტის რგოლში, ხოლო გარკვეული ნაწილი აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში. პროგრამის კურსდამთავრებულების 65% დასაქმებულია, მათ შორის 50% პროფილით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამის კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შემუშავებულია და ფუნქციონირებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, კერძოდ უნივერსიტეტი სტუდენტებს ყოველი სემესტრის ბოლოს აძლევს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალებას როგორც პროგრამასთან ასევე პროგრამაში ჩართულ პროფესორ–მასწავლებლებთან დაკავშირებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში. კრედიტებით გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკა, შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასწავლად საჭირო რეალური დრო. თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფილია შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა. კურსდამთავრებულებისთვის, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება კურსდამთავრებულთა აზრის შესწავლა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უზრუნველყო პროგრამით დაგეგმილმა სწავლის შედეგებმა და მიღებულმა უნარ-ჩვევებმა მათი დასაქმება. დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება როგორც ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ასევე პრაქტიკის ორგანიზებით: ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. თუმცა, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ისინი უფრო მეტად არიან ჩართულები პროგრამის განვითარების პროცესში, ვიდრე შემუშავების პროცესში და უნივერსიტეტს სთავაზობენ პრაქტიკისა და სტაჟირების ობიექტებს. შესაბამისად, მიზაშეწონილია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამის კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები; ▪ http://www.ciu.edu.ge/- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია კიდევ უფრო გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საიტზე (პროგრამების კატალოგში), რაც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/page/katalogi - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდოლოგიის გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადე-მიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სწავლების პროცესში გამოიყენება ვერბალური, წერითი, ლექციის,სემინარის, პრაქტიკულის, ჯგუფში მუშაობის, ქეისების, დებატების, დავალების/პრეზენტაციის მომზადება და ა,.შ. მრავალფეროვანი მეთოდები. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური ხდება. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამის კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. სტუდენტი ლოგიკური თანმიმდევრობით ეუფლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების ნაწილს შესწავლის წინაპირობად აქვს წინა სემესტრში შესასწავლი საგნები, წინაპირობა, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ამ სასწავლო კურსის ასათვისებლად, თუმცა სასწავლო კურსების ნაწილს არ აქვს წინაპირობა. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები:

- საბაკალავრო პროგრამის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად განსაზღვრულია: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მეწარმეობის და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ოპერაციული მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, თუმცა თავად საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად განისაზღვროს მე-8 სემესტრისათვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო დისციპლინების სრული სპექტრი;
- ,,მაკროეკონომიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად სილაბუსში მითითებულია კალკულუსი 1, ხოლო პროგრამაში აღნიშნულ სასწავლო კურს წინაპირობა საერთოდ არ აქვს მითითებული, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ვინაიდან მაკროეკონომიკა არის მიკროეკონომიკის ლოგიკური გაგრძელება, რეკომენდებულია აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობად სწორედ მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი განისაზღვროს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ,,მაკროეკონომიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი და არა ,,კალკულუსი 1“;
- რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად, განისაზღვროს მე-8 სემესტრისათვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო დისციპლინების ათვისება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში. ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სავალდებულო სასწავლო კურსში ბიზნესის კვლევის მეთოდები დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნეს არა ტესტური შეფასების მეთოდი, არამედ უშუალოდ კვლევითი პროექტი, რომელზეც უნდა იმუშაონ სტუდენტებმა სემესტრის მანძილზე. ასევე, სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება რეფერატის პრეზენტაცია, თუმცა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია რეფერატის ნაცვლად გამოყენებული იქნას პროექტის პრეზენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები“ დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნას არა ტესტური შეფასების მეთოდი, არამედ უშუალოდ კვლევითი პროექტი, რომელზეც უნდა იმუშაონ სტუდენტებმა სემესტრის მანძილზე, ხოლო სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის რეფერატის პრეზენტაციის ნაცვლად რეკომენდებულია პროექტის პრეზენტაციის გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც მას აძლევს საკუთარი ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების გააზრების შესაძლებლობას. პროგრამაში და სილაბუსებში წარმოდგენილია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განთავსებულია სილაბუსებში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ როგორც სასწავლო კურსის სილაბუსებიდან და საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში, „გონში“, ისე, პროფესორის მიერ. სტუდენტისთვის გამჭვირვალეა ინფორმაცია მისი შუალედური შეფასებების შესახებ, ამიტომ მან ზუსტად იცის თავისი ნაკლოვანებების თაობაზე და საბოლოო შეფასების მიღებამდე სასწავლო კურსის პროფესორისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დახმარებით სახავს გზებს აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ელ.პორტალი ,,გონი“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი თავისი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალიდან. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სტუდენტებისათვის პროგრამის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ სასწავლო პროცესი, უკეთ განსაზღვრონ საკუთარი პროფილი და გაიუმჯობესონ აკადემიური მიღწევები. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციით მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს. დეკანატი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მხრიდან შესაბამისი კონსულტაციის გაწევას. შეფასებადი სასწავლო აქტივოებების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს საკუთარი შედეგების შესახებ. ხდება საგამოცდო შედეგების განხილვა და განმარტება, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს უკეთ გააცნობიეროს საკუთარი შეცდომები და გაიუმჯობესოს აკადემიური მიღწევები. სტუდენტთა კარიერულ განვითარებას უზრუნველყოფს კარიერული განვითარების სამსახური. სტუდენტების კარიერული მართვის კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტები გადიან კონსულტაციებს რეზიუმეების, სამოტივაციო წერილების მომზადებისა და პოტენციურ დამსაქმლებთან ურთერთობის შესახებ. უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების უზრუნველსაყოფად აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოს ბაზარზე არსებულ შესაბამისი მიმართულების საქმიანობით დაკავებულ კომპანიებთან. ტარდება კონკრეტული ღონისძებები, სადაც ხდება პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების შეხვედრა, რის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან წინასწარ. უნივერსიტეტში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პორტალი ,,გონი“, რომელიც ამარტივებს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის კომუნიკაციას, მათ შორის სტუდენტის პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესების, კონსულტაციისა და დახმარების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ კარიერული განვითარების სამსახურის დებულება; ▪ ბიზნესის ფაკულტეტის დებულება; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ელ.პორტალი ,,გონი“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია ყოველკვირეული კონსულტაციების ჩატარების დღე და დრო. თითეული სასწავლო კურსის პირველ კვირაში ხდება სილაბუსის გაცნობა და პრეზენტაცია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას საკონსულტაციო საათების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ელ.პორტალი ,,გონი“;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამეცნიერო კვლევითი სამსახური ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას, მათი ინიციატივების მხარდაჭერას და კვლევებში ჩართვის ხელშეწყობას. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სტუდენტები ვალდებულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაიარონ პრაქტიკა და შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომი. პრაქტიკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის წერა ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეძენილი და ჩამოყალიბებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენებას და ახალი ცოდნისა და კომპეტენციების ათვისებას. ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტების წახალისებას და ჩართვას კურიკულუმისგან დამოუკიდებლ აქტივობებში. სტუდენტებს საკუთარი ინიციატივით შეუძლიათ თემატური სტუდენტური კლუბების შექმნა ან უკვე არსებულ კლუბებში გაერთიანება. ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტურ თვითმმართველობასთან ურთიერთობას და მათ დამხარებას სტუდენტური გამოფენების, ინტელექტუალური თამაშების, ლიტერატული საღამოების, სპორტული აქტივობებისა და საჯარო ლექციების ჩატარებაში. უნივერსიტეტი განსაკუთრებით წარმატებით ახორციელებს სპორტული აქტივობების დაგეგმავას და მასში სტუდენტების აქტიურ ჩართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის სამსახურის დებულება; ▪ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კლუბების შექმნისა და საქმიანობის წესი; ▪ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის დებულება; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების სრულყოფის პროცესში განსაკუთრებული ადგილი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს უჭირავს. უნივერსიტეტის ეს რგოლი განსაზღვრავს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ფონდებთან. იგი უზრუნველყოფს სასწავლებლის საერთაშორისო კონტაქტებს, გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობას, სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სტუმართა მოწვევას, საერთაშორისო კონფერენციებში მეცნიერების და მკვლევარების მონაწილეობას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართვას, უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან საგანმანათლებლო პროექტების შემუშავებას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას და ახალი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოძიებას. წლების განმავლობაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შეემატა არაერთი პარტნიორი უნივერსიტეტი, რამაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო უნივერსიტეტის ინტეგრაციას მსოფლიო განათლების სისტემასთან. პარტნიორთა სიაში ძირითადად წარმოდგენილნი არიან კავკასიის რეგიონის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ესპანეთი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისათვის გათვალისწინებული 22 კრედიტიდან, 10 კრედიტი ემსახურება ინგლისური ენის შესწავლას. საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები მოიცავს პოლონურ ენას. კურსები უზრუნველყოფს ენის A2 დონეზე შესწავლას, რაც სტუდენტებს კიდევ უფრო ეხმარება ინტერნაციონალიზაციაში. 2014 წლიდან უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული ERASMUS+ის საგრანტო პროგრამებში და ცდილობს პროგრამაში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფას. პროგრამის სტუდენტები და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ანხორციელებენ მობილობებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში საზღვაგარეთ. 2009 წლიდან უნივერსიტეტში გამოდის რეცენზირებადი, სამენოვანი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან;
- მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან;
- სამეცნიერო კონფერენციების მასალები;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

▪ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას მცირე რაოდენობის მოწვეული პერსონალი გააჩნია, სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული პროგრამა ხორციელდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ძირითად კორპუსში, სადაც დაკავებული აქვს ერთი სრული სართული. ამ სართულზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური პერსონალის ოთახები და საპროფესორო. ამ ეტაპზე იგეგმება ახალი სამუშაო ოთახის გამოყოფა აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისათვის კონსულტაციების ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხდება უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების აუდიტორიების გამოყენებაც. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია 3 კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერული კლასების კომპიუტერებში ჩატვირთულია ვინდოუსის საოფისე პროგრამები და ასევე SPSS 20 ვერსია რაოდენობრივი მასალების დასამუშავებლად და სტატისტიკული ანალიზის ჩასატარებლად. სასწავლო აუდიტორიები

უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით, კერძოდ მერხებით, კომპიუტერით, პროექტორითა და დაფებით. უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და ჯგუფური სამუშაობისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახი, რომლის გამოყენებაც ხდება წინასწარი დაჯავშნის საფუძველზე. პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციაში, რომელთანაც თანამშრომლობა რეგულირდება უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია აღნიშნული პროგრამის კურიკულუმში გაწერილი სავალდებულო და არჩევითი საგნების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა. სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის საშუალებით. სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია წიგნების ელექტრონული ვერსიები, ქსეროასლები და კომპაქტდისკები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, გაწევრიანებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. კსუ ასევე დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL", რაც უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე, კერძოდ, EBSCO Publishing, Academic Search Elit, Business Source Elite, Master FILE ELITE, Library Information Science & Technology Abstracts (LISTA), ERIC (the Education Resource Information Center), Regional Business News, Cambridge University Press, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, SAGE Premier.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 26 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 9 მოწვეული ლექტორი. აქედან 2 არის აფილირებული პროფესორი, ხოლო 17 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს გააჩნიათ აკადემიური ხარისხი, პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი შესაბამის სფეროში (მენეჯმენტი, ფინანსები, ეკონომიკა). აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით, საკონკურსო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამასთან, პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის გარკვეული ნაწილი აკადემიურ საქმიანობას პარალელურ რეჟიმში ეწევა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, შესაბამისად სასურველია გრძელვადიან პერიოდში უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდოს მხოლოდ მასთან აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კომპეტენციები დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. თუმცა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების უმრავლესობა წარმოდგენილია ადგილობრივ ჟურნალებსა და საკონფერენციო კრებულებში. ამჟამად, მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 184 აქტიური სტუდენტი, ხოლო 144 აქვს შეჩერებული სტატუსი. ამასთან, აღსანიშნავია, ისიც რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალიდან სამ ასოცირებულ პროფესორს პროგრამის მიხედვით უწევს 13 სასწავლო დისციპლინის წაკითხვა ჯამში, ე.ი. ერთ ასოცირებულ პროფესორს უწევს 4-5 სასწავლო კურსის წაკითხვა, შესაბამისად მიგვაჩნია რომ პროგრამაზე არსებული სტუდენტების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით უმჯობესია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი და შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ პერსონალზე გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან; ▪ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა და

უმჯობესია ეს განხორციელდეს აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვის ზრდის ხარჯზე;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია უნივერსიტეტმა მეტად შეუწყოს ხელი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში ჩართულობას, რაც გაზრდის მათი საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობას და უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს მათ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობის წახალისებისათვის არსებობს შიდა საგრანტო სისტემა, დაწესებულია სამეცნიერო პრემია „თამარი“, რომელიც 2017 წელს ჩატარდა პირველად და მისი გამარჯვებული გახდა ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელი, აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვას, მართვასა, შეფასებასა და განვითარებას. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილია მათი ჩართვა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და ა. შ. კურსებზე, ტრენინგებსა და სემინარებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ▪ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის მრავალფეროვანი მექანიზმების აქტიური შეთავაზება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სილაბუსებში მოცემული სასწავლო მასალა ეფუძნება აპრობირებულ სახელმძღვანელოებს, ამასთან სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადად გამოყენებულია ქართული თემატური ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მრავლადაა ელექტრონული სასწავლო მასალები და ლიტერატურა ელექტრონულ მატარებლებზე. უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურისა და სასწავლო მასალების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რამდენადაც პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლება მიმდინარეობს ინტენსიურად (2 ინტენსიური კურსის ფარგლებში), სასურველია მესამე და მეოთხე კურზე სპეციალიზაციის საგნებში დამატებით გამოყენებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძვნებული სახელმძღვანელოები, რომლებიც თავს მოუყრის გლობალურ ბაზარზე წარმოდგენილი ორგანიზაციებს და აქტუალურ ქეისებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ცალკეული დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით მესამე და მეოთხე კურზე სპეციალიზაციის საგნებში დამატებით იქნას შეთავაზებული თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას ოპერატიულად გაეცნონ ბიზნესის სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებს;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღნიშნული პროგრამის სრულფასოვნად განსახორციელებლად უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს ბიუჯეტი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაძენად/განსაახლებლად (ახალი ინვენტარი, სახელმძღვანელოები, კომპიტერული პროგრამები), სტუდენტური ინიციატივების დასაფინანსებლად (სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების დასაორგანიზებლად, აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომების (პუბლიკაციების, სახელმძღვანელოების) საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების დასაფარად, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დასაფინანსებლად, კვლევითი პროექტების მცირედი საგრანტო პროგრამების განსახორციელებლად და საზღვარგარეთ სტაჟირების გასავლელად საჭირო ხარჯების დასაფარად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის დეკანთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათ შორის კვლევითი უნარების გაუმჯობესებისათვის, დაფინანსების გაზრდა. ასევე უცხოური თანამედროვე ლიტერატურის/ქეისების/ვიდეო მასალების თარგმანებისთვის მეტი დაფინანსების გამოყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კსუ-ში მოქმედებს, საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მიერ ხარისხის უზრუნველყიფის სისტემა, რომელიც ეფუძვნება „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. პროგრამის საწყის-შემუშავების- ეტაპზე გათვალისწინებულია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და პრიორიტეტების შესაბამისობა პროგრამასთან, დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები (რაც ადგენს მოთხოვნადი პროფესიების საჭიროებას და კვალიფიციური კადრების/კურსდამთავრებულების მომზადებას აღნიშნულ სფეროში). აკადემიური პერსონალის, მათ შორის მოწვეული ლექტორების, უშუალო ჩართულობით მოხდა პროგრამის დიზაინის, მიზნობრიობისა და სწავლის შედეგების დადგენა. სასწავლო კურსებისთვის მისანიჭებელი

კრედიტების რაოდენობის განსასაზღვრად გათვალისწინებულ იქნა სტუდენტებისთვის საჭირო დატვირთვა (მასალის დასაძლევად/ასათვისებლად საჭირო საკონტაქტო, ჯგუფური თუ დამოუკიდებელი საათები). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე მოხდა აღნიშნული პროგრამის დამტკიცება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. დამტკიცებული პროგრამის შემდგომი შეფასება ხორციელდება შემდეგი აქტივობების საფუძველზე: რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების საშუალებით პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება; სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება სპეციალური ფორმების/ შეფასების კითხვარების საშუალებით; პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური ფორმების/ შეფასების კითხვარების საშუალებით; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის და ფაკულტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ სალექციო კურსების მონიტორინგი (სალექციო კურსების დროულად დაწყების შესამოწმებლად, ლექციის მსვლელობისას განხილული თემატიკის სილაბუსში გაწერილ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დასადგენად, პროფესორთა კომპეტენციის შესაფასებლად). კვლევისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება და სალექციო კურსების სილაბუსებში ასახვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებები; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან; ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ http://www.ciu.edu.ge/ - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესში მუდმივად ხდება სწავლის ხარისხის შეფასება შემდეგი აქტივობებით: ლექციებზე დასწრება მეცადინეობის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და ფაკულტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ; დასწრებისას მოწმდება მეცადინეობის დროულად დაწყების საკითხი, პროფესორების კომპეტენტურობა, თემების შესაბამისობა სილაბუსით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან. ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებს წარმოადგენს პროგრამული აკრედიტაცია და ავტორიზაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან" არსებული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილები უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ; ▪ სსიპ - "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან" არსებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ გარე შეფასების მექანიზმად გარდა პროგრამული აკრედიტაცია და ავტორიზაციისა გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო პატარაია

გიგი მიშელიძე